საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1/387

ქ. თელავი „10“„07“ 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გარე მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მზია ღაღოლიშვილის სამსახურებრივი ბარათის (10.07.2017წ. N806851) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გარე მობილობის ვადა განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

1. გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2017 წლის 21 აგვისტოდან 2017 წლის 01 სექტემბრის 17^{00}- საათის ჩათვლით;
2. ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2017 წლის 22 აგვისტოდან 2017 წლის 06 სექტემბრის 17^{00}-ის ჩათვლით;

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2017 წლის 08 სექტემბრის ჩათვლით;
4. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ თესაუ- ს სამართლებრივი აქტის პროექტი სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნას 2017 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძე) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების ასლის გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/